# ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ს

ხელში აგიღებ... გაკოცებ, შენ ხმალის ღარზედ
ეწერე,
კიდევ ჩაგკოცნი... ანდერძი ოქროხმოვანი:
ჩაგცქერი; მსჯობს სიცოცხლესა
ნამრახსა
წიგნი კი არა, – ჟრჟოლა ხარ, სიკვდილი სახელოვანი! ნ
ჩამოქაფული ჩანჩქერის.

წიგნი კი არა,–– ბაღი ხარ,
ოქროს ცვარჩამოწვეთილი; წიგნო, წინ მიუძღვებოდი
გაშლილი ბაირაღი ხარ, ხალხს უკვდავების
ნაღარით;
ლექსის ფრთა გაუცვეთელი! შენ გწერდა დიდი
რუსთველი,
თავს ოქროგადანაყარი.
წიგნი კი არა, – დილა ხარ,
ქართველი ხალხის ნათელი. შენ გწერდა ქალის
წამწამი,
გულის ფესვებში გინახავ, ხევთა ხმა, ზვავის
ზრიალი;
გულში ხარ გამონათალი შენს კალამს ორბი
ჰზიდავდა,
ტყავს ვეფხვი
თანაზიარი.
ქაღალდზე გწერენ... სიტყვების
ნაცვლად ლალები სხდებიან; შენ გწერდა ქალის
წამწამი,
გბეჭდვენ – ვაჟააცის მკერდი
გმირელი
ნიშნები სტამბური შენ ხალხი გწერდა
მხედარი,.
ვარდებად აყვავდებიან. ბრძოლით
გულამოკირული.

გკითხულობენ და გმღერიან შენ ჩვენი სიჭაბუკე ხარ.
ლხენით გულ–დამარცხებული; გული არ
დაგიძველდება,

შენგან ჰყავს ხალხის სიცოცხლეს
სიევდილი დამარცხებული'

უთენებელი ბნელეთის
შენ ერთი გვყავდი მთეველი;
სიმდიდრე ბევრი წაგვართვეს,
შენ დაგვრჩი წაურთმეველი!
შენ არ გჭიროდა სახიზრად
გამოქვაბულთა წყვდიადი.
არწივის ფრთაში ჩასაფრდი,
ქოხის ნაცარში ბრწყინავდი.
გწვავდნენ და არ იწვებოდი,
ცეცხლში დიდების მხვეჭელი.
ვერც ქარიშხალი გფანტავდა,
ხეების ამომგლეჯელი.

შენ ხელსატაცი სიტყვა ხარ,
დიდია შენი სახელი;
მთების სიბრტყენი გადასჭერ,
სამშობლოს გარეთ გახველი.

სიმღერა, დილას ნამღერი,
შვიდასი წელი გრძელდება!
აახმაურე სამშობლო
კარისკარ ჩამოიარე;
ზოგს პურმარილზე შეესწარ
და ზოგს უხვევდი იარებს.
მიჯნურს, გულადუღებულსა,
სიცოცხლეს დაუელვარებ;
ლაშქარს უსარდლებ სარდალი,
ხელში ხმალს აძლევ მღელვარეს.
სიყვარულს სიყვარულითა,
ძმობით ძმას ეპასუხები,
დიდ ჭირში დაგვაფოლადებ,
დავდგებით, როგორც მუხები.

კარებს გაგიღებ ტკბილ სტუმარს
ქალაქები და სოფელი,
სიმღერა გულში ნათქვამი,:
გახდი მსოფლიოს მფლობელი

შენი სიბრძნე და ოცნება
გულში აქვთ გამოკვანძული;
ჩამოურიგდი ქვეყანას,
როგორც დიდი მზის ნაწილი.

გაქანდი ოქროს ფრთიანო,
გასცდები ქვეყნის ნაპირსა. –
შენ, დედაჩემის მზითევო,
ფარ–ხმალო მამა–პაპისა!